

(საოპერაციო ნომერი: 37547)

სასესიო ხელშეკრულება

(ბათუმის ურბანული ტრანსპორტი)

საქართველოსა

და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს

შორის

თარიღი: 2008 წლის 2 სექტემბერი

საგარეო ურთიერთობების სამინისტრო  
საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი  
თარგმნის განყოფილება

საგარეო ურთიერთობების რეგისტრაციის № 5323-14

თარიღი/DATE 18.09.08

დაამტკიცა/CERTIFIED BY 

Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

სარჩევნო

მუხლი 1. სტანდარტული პირობები და ტერმინების განმარტებები  
პუნქტი 1.01. სტანდარტული პირობების გათვალისწინება  
პუნქტი 1.02. ტერმინების განმარტებები  
პუნქტი 1.03. ინტერპრეტაცია

მუხლი 2. სესხის ძირითადი პირობები  
პუნქტი 2.01. თანხა და ვალუტა  
პუნქტი 2.02. სესხის სხვა ფინანსური პირობები  
პუნქტი 2.03. თანხების ათვისება

მუხლი 3. პროექტის განხორციელება  
პუნქტი 3.01. პროექტის სხვა მტკიცებულებითი პირობები

მუხლი 4. შეწყვეტა, დაჩქარება  
პუნქტი 4.01. შეწყვეტა  
პუნქტი 4.02. ვადიანობის დაჩქარება

მუხლი 5. ძალაში შესვლა  
პუნქტი 5.01. ძალაში შესვლის წინაპირობები  
პუნქტი 5.02. იურიდიული დასკვნები  
პუნქტი 5.03. შეწყვეტა ძალაში შეუსვლელობის შემთხვევაში

მუხლი 6. სხვადასხვა  
პუნქტი 6.01. შეტყობინებები

დანართი 1. პროექტის აღწერა  
დანართი 2. კატეგორიები და თანხების ათვისება

	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო
სააქტივაციო/REGISTRATION №	5323-14
თარიღი/DATE	18.09.08
დაამტკნა/CERTIFIED BY	
Ministry of Foreign Affairs of Georgia TRANSLATION BUREAU of International Agreements of Georgia	

### სასესიო ხელშეკრულება

იდება 2008 წლის 2 სექტემბერს საქართველოსა (შემდგომში „მსესხებელი“) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (შემდგომში „ევრობანკი“) შორის.

### პრეამბულა

ვინაიდან ევრობანკი დაფუძნებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ღია საბაზრო ეკონომიკაზე გარდაქმნის, კერძო სექტორისა და მეწარმეობის ინიციატივის სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტებისთვის დაფინანსების უზრუნველსაყოფად მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განუხრელი დაცვით და გამოყენებით,

ვინაიდან მსესხებელს განზრახული აქვს განახორციელოს დანართში 1-ში აღწერილი პროექტი,

ვინაიდან მსესხებელი სესხის თანხას გადაასესხებს ქალაქ ბათუმს (შემდგომში „ქალაქი“) ქალაქის სასესიო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (შემდგომში განსაზღვრულის თანახმად).

ვინაიდან ქალაქი სესხს გამოიყენებს 100 (ასი) საშუალო ზომის ავტობუსის, მათი სათადარიგო ნაწილების და ამორტიზაციის მანქანა-დანადგარების (შემდგომში „საპროექტო აქტივები“) შესაძენად და ამას ყველაფერს კაპიტალური კონტრიბუციის სახით გადასცემს საპროექტო ორგანიზაციას საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (შემდგომში განსაზღვრულის თანახმად)

ვინაიდან პროექტს განახორციელებს ქალაქ ბათუმის მიერ სრულ მფლობელობაში მყოფი დაქვემდებარებული ორგანიზაცია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ (შემდგომში „საპროექტო ორგანიზაცია“) ევრობანკისგან ტექნიკური დახმარებითა (შემდგომში განსაზღვრულის თანახმად) და მსესხებლისა და ქალაქის ფინანსური დახმარებით,

ვინაიდან მსესხებელმა ევრობანკს მიმართა პროექტის ნაწილის დაფინანსების თხოვნით,

ვინაიდან ქალაქმა თანხმობა განაცხადა სხვა მრავალ საკითხთა შორის ჯამში 400,000 ევრომდე დაფინანსების უზრუნველყოფაზე საპროექტო ორგანიზაციისადმი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიურო  
საპატივსაცემი/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დასტურებული/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

საპროექტო აქტივების გამართული მუშაობისთვის საჭირო ძირითადი მომახურებისა და სათავსო ობიექტების გასაახლებლად (შემდგომში „დექოს განახლება“), რაც უნდა დასრულდეს წინამდებარე სასესიო ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ორი წლის ვადაში,

ვინაიდან ევრობანკმა თანხმობა განაცხადა ტექნიკური თანამშრომლობის დაფინანსების სახით ქალაქისა და საპროექტო ორგანიზაციისათვის ჯამში 492,000 ევროს გამოყოფაზე, როგორც ეს წინამდებარე სასესიო ხელშეკრულების დანართში 1 არის აღწერილი საგრანტო დაფინანსების საფუძველზე პროექტის განხორციელების სფეროში ქალაქისა და საპროექტო ორგანიზაციის დახმარების მიზნით,

ვინაიდან ევრობანკმა თანხმობა განაცხადა სხვა მრავალ საკითხთა შორის ზემოთხსენებულის საფუძველზე მსესხებლისადმი 2,500,000 ევროს გამოყოფაზე იმ პირობებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია (ა) წინამდებარე ხელშეკრულებაში, (ბ) პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებაში, რომელიც ზემოაღნიშნულ თარიღში გაფორმდა ქალაქსა და ევრობანკს შორის (შემდგომში „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“) და (გ) საპროექტო ხელშეკრულებაში, რომელიც ზემოაღნიშნულ თარიღში გაფორმდა საპროექტო ორგანიზაციასა და ევრობანკს შორის (შემდგომში „საპროექტო ხელშეკრულება“, როგორც ეს განსაზღვრულია სტანდარტულ პირობებში).

აღნიშნული გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი 1. სტანდარტული პირობები; ტერმინების განმარტება**

**კუნძი 1.01. სტანდარტული პირობების გათვალისწინება**

აღნიშნული ხელშეკრულება სრულად ითვალისწინებს და მასზე სრულად ვრცელდება ევრობანკის 2007 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული სტანდარტული პირობები შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით (შემოდგომში მოიხსენება როგორც „სტანდარტული პირობები“):

- ა) „საპროექტო ორგანიზაციის“ ნებისმიერი ხსენება სტანდარტულ პირობებში მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ქალაქი და/ან საპროექტო ორგანიზაცია, შესაბამისებისამებრ,
- ბ) „საპროექტო ხელშეკრულების“ ნებისმიერი ხსენება სტანდარტულ პირობებში მიჩნეული უნდა იქნეს როგორც პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება და/ან საპროექტო ხელშეკრულება, შესაბამისებისამებრ,

 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სააპნისტიფიკაციო/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტყნა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

გ) „საპროექტო ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის“ ნებისმიერი ხსენება სტანდარტულ პირობებში მიჩნეული უნდა იქნეს როგორც ქალაქის უფლებამოსილი წარმომადგენელი (შემდგომში განმარტებულის თანახმად) და/ან საპროექტო ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი (შემდგომში განმარტებულის თანახმად) შესაბამისაბისამებრ.

#### პუნქტი 1.02. ტერმინების განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებისას (პრეამბულისა და დანართების ჩათვლით), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული ან კონტექსტი არ მოითხოვს სხვაგვარ მნიშვნელობას (ა) პრეამბულაში განსაზღვრულ ტერმინებს შესაბამისი მნიშვნელობები გააჩნიათ შემდგომშიც, (ბ) სტანდარტულ პირობებში განსაზღვრულ ტერმინებს მინიჭებული მნიშვნელობები გააჩნიათ შემდგომშიც და (გ) ქვემოთხსენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი განმარტებები:

„მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენელი“ არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო სტანდარტული პირობების 3.01 “ბ” პუნქტის შესაბამისად სესხის თანხის გამოთხოვის აპლიკაციის წარდგენისას – ქალაქის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

„ქალაქი“ არის წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე.

„ქალაქის სასესხო ხელშეკრულება“ არის სასესხო ხელშეკრულება ევრობანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით, რომელიც გაფორმდება მსესხებელსა და ქალაქს შორის 3.01(ა) პუნქტის თანახმად, რომელშიც შეიძლება პერიოდულად ცვლილებების შეტანა.

„ქალაქის უფლებამოსილი წარმომადგენელი“ არის ბათუმის მერია

„დეპოს განახლება“ არის წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე.

„გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა“ არის პროექტის გარემოსდაცვითი გეგმა, რომელიც 2007 წლის 5 ივლისით თარიღდება და მომზადებულია გარემოსდაცვითი

 საქართველოს საგარეო საგნეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიურო  
სააბსტრაქტო/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტკნა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

რესურსების მართვის შეზღუდული კომპანიის მიერ, საპროექტო ხელშეკრულებაში დეტალურად განსაზღვრულის შესაბამისად.

„საპროექტო აქტივები“ არის წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე.

„საპროექტო ორგანიზაცია“ არის წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე.

„საპროექტო ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენელი“ არის საპროექტო ორგანიზაციის დირექტორი

„საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულება“ არის კონტრიბუციის ხელშეკრულება ევრობანკისთვის მისაღები ფორმითა და შინაარსით, რომელიც ქალაქსა და საპროექტო ორგანიზაციას შორის გაფორმდება 3.01(ბ) პუნქტის თანახმად და დროდადრო შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს.

„პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“ არის წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულაში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე.

„მომსახურების კონტრაქტი“ არის ევრობანკისთვის მისაღები ფორმისა და შინაარსის მქონე მომსახურების კონტრაქტი, რომელიც საპროექტო ორგანიზაციის მიერ ავტოტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფას შეეხება და ფორმდება ქალაქსა და საპროექტო ორგანიზაციას შორის 3.01(თ) პუნქტის თანახმად და დროდადრო შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს

„გარიგების დოკუმენტები“ არის ევრობანკისთვის მისაღები ფორმისა და შინაარსის მქონე წინამდებარე ხელშეკრულება, ქალაქის სასესიო ხელშეკრულება, საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულება, პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება, საპროექტო ხელშეკრულება, მომსახურების კონტრაქტი და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომლებიც პროექტთან დაკავშირებით იღება ევრობანკს, მსესხებელს, ქალაქს ან საპროექტო ორგანიზაციას შორის.

პუნქტი 1.03. ინტეგრირება

საქართველოს საგარეო საგნობა საინსტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიურო  
საინსტრუქციონ/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტკიცა/CERTIFIED BY *[Signature]*  
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

წინამდებარე ხელშეკრულებაში კონკრეტული მუხლების, პუნქტებისა და დანართების მინიშნება, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული წინამდებარე ხელშეკრულებაში, გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულების კონკრეტული მუხლის, პუნქტის ან დანართის მინიშნება.

**მუხლი 2. სსსხის ძირითადი პირობები**

**პუნქტი 2.01. თანხა და ვალუტა**

- (ა) ევრობანკი მსესხებლისადმი სესხის გაცემაზე თანხმობას აცხადებს წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობებით 2,500,000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ევროს ოდენობით.

**პუნქტი 2.02. სსსხის სხვა ფინანსური პირობები**

- ა) ტრანშის მინიმალური ოდენობაა 200,000 ევრო.
- ბ) წინსწრებით დაფარვის მინიმალური ოდენობაა 200,000 ევრო.
- გ) გაუქმების მინიმალური ოდენობაა 200,000 ევრო.
- დ) სესხის საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღებია ყოველი წლის 20 ივნისი და 20 დეკემბერი.
- ე) (1) მსესხებელმა სესხი უნდა დაფაროს თორმეტ თანაბარ (ან შეძლებისდაგვარად თითქმის თანაბარ) ნაწილებად წელიწადში ორჯერ ნახევარწლიანი ინტერვალებით ყოველწლიურად საპროცენტო განაკვეთის გადახდის თარიღებში, პირველი გადახდის თარიღი იქნება სასესხო ხელშეკრულების გაფორმებიდან პირველი წლის გასვლის შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღი, ხოლო სესხის დაფარვის ბოლო თარიღი იქნება სასესხო ხელშეკრულების გაფორმებიდან მეშვიდე წლის დადგომის წინ არსებული პროცენტის დაფარვის თარიღი.
- (2) ზემოთხსენებულის მიუხედავად თუ (I) მსესხებელი არ აითვისებს სესხის მთელ თანხას 2.02(ე) პუნქტში მითითებულ სესხის დაფარვის პირველი გადახდის თარიღამდე და (II) თუ ევრობანკი გააგრძელებს სესხის ათვისების ბოლო ვადას, რომელიც 2.02(ე) პუნქტში არის მითითებული იმ თარიღამდე, რომელიც ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღის შემდეგ გადაიწვეს, მაშინ ყოველი ტრანშის თანხა, რომელიც ძირითადი თანხის პირველი გადახდის თარიღს დაემთხვევა ან მის შემდეგ განხორციელდება, გადახდისათვის თანაბარი თანხების სახით იქნება გამოყოფილი ძირითადი თანხის გადახდის რამოდენიმე თარიღისათვის,

 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიურო  
სააქტივაციო/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დააქმნა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

რომელიც ამგვარი ტრანშის განხორციელების თარიღის შემდგომ პერიოდს მოიცავს (ევრობანკი თავის მხრივ საჭიროებისამებრ გადაანაწილებს თანხებს რათა ყოველი შემთხვევისათვის მიღებულ იქნას მთლიანი ციფრები). ევრობანკი პერიოდულად შეატყობინებს მსესხებელს ამგვარი გადაანაწილების შესახებ.

ვ) ათვისების ბოლო ვადა იქნება სასესხო ხელშეკრულების პირველი წლისთავი ან მომდევნო პერიოდი, რომელსაც ევრობანკი გადაწყვეტს და შეატყობინებს მსესხებელს,

ზ) ვალდებულების გადასახადის განაკვეთია 0.5% წელიწადში,

თ) სესხი ექვემდებარება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის დარიცხვას.

#### პუნქტი 2.03. თანხების ათვისება

ხელმისაწვდომი თანხიდან ტრანშები პერიოდულად უნდა განხორციელდეს დანართი 2-ის პირობების შესაბამისად, რათა დაფინანსდეს (1) გაწეული დანახარჯები (ან, ევრობანკის თანხმობის შემთხვევაში გასაწევი ხარჯები) რომელიც მოიცავს პროექტისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოების და მომსახურების რეალურ ღირებულებას, და (2) ადმინისტრირების გადასახადი.

#### მუხლი 3. პროექტის განხორციელება

##### პუნქტი 3.01. პროექტის სხვა მტკიცებითი პირობები

სტანდარტული პირობების IV და V მუხლების ზოგადი ვალდებულებების გარდა თუ ევრობანკი სხვაგვარ ქმედებებზე თანხმობას არ განაცხადებს მსესხებელმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

- ა) უნდა გახადოს ხელმისაწვდომი სესხის თანხა ქალაქისათვის წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული სესხის დაფარვის პირობებით და ევრობანკისათვის მისაღები სხვა პირობებით ქალაქის სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად.
- ბ) უზრუნველყოს ქალაქის მიერ სესხის გამოყენება საპროექტო აქტივების შესაძენად და მათი კაპიტალური კონტრიბუციის სახით საპროექტო ორგანიზაციისათვის გადაცემა საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულების შესაბამისად,
- გ) გამოიყენოს ქალაქის სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში მისი უფლებები იმგვარად, რომ დაიცვას მსესხებლის და ევრობანკის ინტერესები წინამდებარე

საგარეო ურთიერთობების სამინისტრო  
საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი  
თარგმნის ბიუროსი

საგარეო ურთიერთობების რეგისტრაციის № 5323-14

თარიღი/DATE 18.09.08

დაამტკიცა/CERTIFIED BY *[Signature]*

Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

ხელშეკრულების და ნებისმიერი იმ გარიგების დოკუმენტის პირობების დასაკმაყოფილებლად, რომელთა მხარესაც იგი წარმოადგენს და იმ მიზნების მისაღწევად, რომლისთვისაც გაიცემა სესხი,

- დ) ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ უზრუნველყოს რათა ქალაქმა გამოიყენოს მინიჭებული უფლებები და აღასრულოს დაკისრებული ვალდებულებები საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულების, მომსახურების კონტრაქტის და ნებისმიერი სხვა გარიგების დოკუმენტის ფარგლებში, რომლებსაც ქალაქმა ხელი მოაწერა, შეძლებისდაგვარად ევრობანკის ინტერესების დასაცავად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების პირობების დაკმაყოფილების გზით და იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც სესხი გაიცემა,
- ე) არც თავად და არც ქალაქის მიერ არ დაუშვას, თუ ევრობანკი სხვაგვარად არ განაცხადებს თანხმობას, ქალაქის სასესხო ხელშეკრულების, საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულების, მომსახურების კონტრაქტისა და ნებისმიერი სხვა გარიგების დოკუმენტის პირობების გადაცემა, შეცვლა, ანულირება ან გაუქმება, რომლებსაც შესაბამისად მსესხებელმა და ქალაქმა ხელი მოაწერეს,
- ვ) ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ქალაქის მიერ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების ფარგლებში დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის შეზღუდვის გარეშე საბიუჯეტო ასიგნებების საშუალებით ჯამში 400,000 ევრომდე გამოყოფის ვალდებულება (ან სხვა თანხა, რომელიც გონიერულობის ფარგლებში საჭიროა დეპოს რეაბილიტაციის დასრულებისთვის), წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი წლის ვადაში, რათა საპროექტო ორგანიზაციამ შეძლოს დეპოს განახლების დასრულება.
- ზ) ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ უზრუნველყოს რათა ქალაქმა უზრუნველყოს საპროექტო ორგანიზაციის მიერ საპროექტო ხელშეკრულების ფარგლებში მასზე დაკისრებული ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის და შეზღუდვის გარეშე, შემდეგის ჩათვლით:

1. საპროექტო ხელშეკრულების 2.02 პუნქტის თანახმად, პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი თანამშრომლის დანიშვნა;
2. საპროექტო ხელშეკრულების 2.03 პუნქტის თანახმად პროექტის ფარგლებში საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების შესყიდვა,

 საქართველოს საგარეო საგმეო სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სააპრიტაციო/REGISTRATION № 3323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტყნა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

3. საპროექტო ხელშეკრულების 2.04 პუნქტში ჩამოყალიბებული გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, მათ შორის გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა,
4. საპროექტო ხელშეკრულების 2.05 პუნქტის თანახმად, კონსულტანტების დასაქმება და გამოყენება პროექტის განხორციელების სფეროში დასახმარებლად,
5. საპროექტო ხელშეკრულების 2.07 პუნქტის თანახმად, პროექტისა და საპროექტო ორგანიზაციის ფუნქციონირების შესახებ ანგარიშების მომზადება და წარმოდგენა,
6. საპროექტო ხელშეკრულების 3.01 პუნქტის თანახმად პროცედურების განუხრელი დაცვა, ანგარიშების და გატარებების წესრიგში ქონა, მომზადება და აუდიტი, ასევე ევრობანკისადმი ფინანსური ანგარიშებისა და ნებისმიერი სხვა ინფორმაციის მიწოდება პროექტთან და საპროექტო ორგანიზაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით,
7. საპროექტო ხელშეკრულების 3.02, 3.03 და 3.04 პუნქტების შესაბამისად ყველა პირობის შესრულება პროექტისა და საპროექტო ორგანიზაციის ფინანსურ და საოპერაციო ასპექტებზე.

- თ) ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ქალაქსა და საპროექტო ორგანიზაციას შორის მომსახურების კონტრაქტის გაფორმება სასესხო ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 თვის ვადაში,
- ი) განახორციელოს ან უზრუნველყოს განხორციელება ყველა ისეთი დამატებითი ქმედებებისა (რომლებიც შეზღუდვის გარეშე მოიცავენ საჭირო დაფინანსების ან სხვა დახმარების გამოყოფას საპროექტო ორგანიზაციისათვის პროექტის დასასრულებლად) და აღასრულოს ან უზრუნველყოს აღსრულება ყველა იმ დამატებითი დოკუმენტებისა, რომლებსაც ევრობანკი და მსესხებელი გონივრულად მიიჩნევს აუცილებლად ან სასურველად წინამდებარე ხელშეკრულების ან ნებისმიერი სხვა გარიგების დოკუმენტის და მათში ჩამოყალიბებული პირობების ეფექტურობისთვის.
- კ) უზრუნველყოს რათა ქალაქმა შეასრულოს პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის შეზღუდვების გარეშე, მისი ვალდებულებები საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვასთან

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიურო  
სააპოსტოლო/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დააპოსტა/CERTIFIED BY [Signature]  
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

დაკავშირებით, როგორც ეს არის განსაზღვრული პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების 2.04 პუნქტში.

#### მუხლი 4. შუწყვეტა, ღაჩქარება

##### პუნქტი 4.01. შუწყვეტა

ქვემოთმოყვანილი განსაზღვრულია სტანდარტული პირობების 7.01(a)(XVII) პუნქტის მიზნებისათვის:

- ა) თუ ქალაქის და საპროექტო ორგანიზაციის წესდება ან ნებისმიერი გარიგების დოკუმენტი იქნება შესწორებული, შეწყვეტილი, ანულირებული, ან გაუქმებული იმგვარად, რომ ევრობანკის თვალსაზრისით არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენს პროექტზე ან საპროექტო ორგანიზაციაზე
- ბ) თუ ქალაქი არ შეინარჩუნებს საპროექტო ორგანიზაციის 50%-ზე მეტ მფლობელობას იურიდიული და მოსარგებლის სტატუსით, ან
- გ) ქალაქი ან საპროექტო ორგანიზაცია ვერ შეძლებენ პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულების, საპროექტო ხელშეკრულების ან ნებისმიერი სხვა გარიგების დოკუმენტის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომელთა ხელმომწერ მხარესაც წარმოადგენენ შესაბამისად ქალაქი და საპროექტო ორგანიზაცია.

##### პუნქტი 4.02. ღაჩქარება

პუნქტში 4.01 ჩამოყალიბებული პირობები წარმოადგენენ სესხის გადახდის ვადის დაჩქარების დამატებით პირობებს სტანდარტული პირობების 7.06(f) პუნქტის მიზნებისათვის.

#### მუხლი 5. ძალაში შესვლა

##### პუნქტი 5.01. ძალაში შესვლის წინაპირობები

სტანდარტული პირობების 9.02(c) პუნქტში ჩამოყალიბებულ მიზნებისათვის ქვემოთმოყვანილი დებულებები წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დამატებით წინაპირობებს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე მსესხებლის მიერ თანხების ათვისების მოთხოვნის უფლების):

- ა) თითოეული გარიგების დოკუმენტი (მომსახურების კონტრაქტისა და საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულების გარდა) უნდა იქნეს სათანადოდ გაფორმებული ხელმომწერი მხარეების მიერ, და მათი ძალაში შესვლის ყველა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტკიცა/CERTIFIED BY *[Signature]*  
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

წინაპირობა (წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის გარდა) უნდა იქნეს დაკმაყოფილებული,

- ბ) მსესხებელს განხორციელებული უნდა ჰქონდეს ყველა აუცილებელი ქმედება, მათ შორის შეზღუდვის გარეშე, წინამდებარე ხელშეკრულების ან ნებისმიერი სხვა გარიგების დოკუმენტის (რომლის მხარესაც იგი წარმოადგენს) ხელმოწერა ან რატიფიცირება, საჭიროებისამებრ, მათი ძალაში შესვლისათვის
- გ) ევრობანკს მიღებული უნდა ჰქონდეს ქალაქისა და საპროექტო ორგანიზაციის წესდებების დამოწმებული ასლები (და მათი ინგლისური თარგმანი)
- დ) მსესხებლის, ქალაქის ან საპროექტო ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი სხვა ქმედება უნდა იქნეს განხორციელებული და ნებისმიერი სხვა ხელშეკრულება უნდა იქნეს გაფორმებული ევრობანკის გონივრული მოთხოვნის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულებასთან ან ნებისმიერ სხვა გარიგების დოკუმენტთან დაკავშირებით.

**პუნქტი 5.02. იურიდიული დასკვნები**

- ა) სტანდარტული პირობების 9.03(a) პუნქტის მიზნებისთვის მისაღები იურიდიული დასკვნა უნდა იქნეს გაცემული მსესხებლის სახელით მსესხებლის იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელშიც სტანდარტულ პირობებში ჩამოყალიბებულის გარდა აღნიშნული უნდა იყოს, რომ ქალაქის სასესხო ხელშეკრულება ხელმოწერილია და ძალაშია მსესხებლისათვის და წარმოადგენს ქმედით და იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტს მსესხებლისთვის, რომელიც უნდა განხორციელდეს მისი პირობების შესაბამისად.
- ბ) სტანდარტული პირობების 9.03(c) პუნქტის მიზნებისთვის მისაღები იურიდიული დასკვნა უნდა იქნეს გაცემული ქალაქის სახელით და საპროექტო ორგანიზაციის სახელით, ქალაქის იურიდიული სამსახურის უფროსის მიერ, რომელშიც სტანდარტულ პირობებში ჩამოყალიბებულის გარდა აღნიშნული უნდა იქნეს, რომ ყოველი გარიგების დოკუმენტი (მომსახურების კონტრაქტისა და საპროექტო ორგანიზაციის კონტრიბუციის ხელშეკრულების გარდა), რომელსაც შესაბამისად ხელს აწერენ ქალაქი და საპროექტო ორგანიზაცია სათანადოდ არის გაფორმებული ქალაქის ან საპროექტო ორგანიზაციის მიერ ან მათი სახელით და წარმოადგენს ქმედით და იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტს ქალაქის და საპროექტო ორგანიზაციისთვის და უნდა განხორციელდეს მისი პირობების შესაბამისად.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
საქართველოს რეგისტრაციის № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
რეგისტრაცია/REGISTRATION №  
ცხადდება/ISSUED BY *[Signature]*  
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

პუნქტი 5.03. შიშვეთა კალაში შიშველობის შიშვეთაში

წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 180 დღის მომდევნო დღე არის განსაზღვრული სტანდარტული პირობების 9.04 პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნებისთვის.

მუხლი 6. სხვადასხვა

პუნქტი 6.01. შიშვეთაში

სტანდარტული პირობების 10.01 პუნქტში ჩამოყალიბებული მიზნებისთვის წარმოდგენილია მხარეთა შემდეგი რეკვიზიტები:

მხარეები:

საქართველო,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გორგასლის 16, თბილისი, 1014, საქართველო

საკონტაქტო პირი: საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

ტელეფონი: +995 32 446 461

ფაქსი: +995 32 457443

მხარეები:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

One Exchange Square

London EC2A 2JN

United Kingdom

საკონტაქტო პირი: საოპერაციო ადმინისტრაციული განყოფილება

ფაქსი: 44-20-73386100

ტელეფონი: 8812161

პასუხი: EBRD L G

ყოველივე ზემოთხსენებულის დასტურად მხარეები, უფლებამოსილი წარმომადგენლების საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულებას აწერენ ხელს ხუთ ეგზეპლარად საქართველოში, თბილისში ზემოთ მითითებულ თარიღში.


საქართველო



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიურო

საანბნარაგო/REGISTRATION № 3323-14

თარიღი/DATE 18.09.08

დაამტკნა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

ხელმოწერა:

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ხელმოწერა:

სახელი, გვარი:

თანამდებობა:

დანართი 1. პროექტის აღწერა

1. პროექტის მიზანია მსესხებლისადმი დახმარების აღმოჩენა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსების) პროექტის განხორციელებაში ქ. ბათუმში.
2. პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან, რომლებიც ექვემდებარებიან ევრობანკისა და მსესხებლის მიერ დროდადრო ურთიერთშეთანხმებულ ცვლილებებს:

სსსსს მიზნობრიობა	მილიონობით ევრო	დაფინანსების წყარო	შენიშვნა
ინვესტიცია			
A. საშუალო ზომის ავტობუსების და მათი სათადარიგო მასალების შექმნა	2.2	ევრობანკი	
B. ამორტიზაციის მანქანა-დანადგარების შექმნა	0.3	ევრობანკი	
C. დეპოს განახლება	0.4-მდე	ქალაქი	
D. გადასახადები(დღგ-ს ჩათვლით)	0.45	ქალაქი	
სულ: ინვესტიცია	3.35		
ტექნიკური თანამშრომლობა (გრანტის სახით)			
ბიზნეს გეგმა	0.035	გრანტი, კანადა	დასრულებულია
შესყიდვების ნაწილში მხარდაჭერა	0.030	ევრობანკი, საშუალო ზომის საწარმოების ინვესტიციების	დამუშავების ეტაპზეა

 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სააქტივაციო/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტკიცა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

		მექანიზმის ბიუჯეტი	
აუდიტი	0.024	გრანტი, კანადა	დასრულებულია
ქალაქის საკრედიტო ანალიზი	0.043	გრანტი, კანადა	დასრულებულია
გარემოსდაცვითი აუდიტი	0.010	ევრობანკი, საშუალო ზომის საწარმოების ინვესტიციების მექანიზმის ბიუჯეტი	დასრულებულია
პარტნიორობა დაწვევების პრინციპით (დახმარება საპროექტო ორგანიზაციის კორპორატიულ განვითარებაში)	0.20	ეკონომიკური გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი	შესყიდვები მზადების პროცესშია, დაიწყება ხელმოწერის შემდეგ
ტრანსპორტის რესტრუქტურისაცია (მარეგულირებელი სისტემით საპროექტო ორგანიზაციის მხარდაჭერა)	0.10	ეკონომიკური გარდაქმნის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი	შესყიდვები მზადების პროცესშია, დაიწყება ხელმოწერის შემდეგ
საპროექტო ორგანიზაციის მხარდაჭერის აღმოჩენა პროექტის განხორციელების სფეროში გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის ნაწილში	0.05	გრანტი, კანადა	დაკონტრაქტებულია, დაიწყება ხელმოწერის შემდეგ
სულ ტექნიკური თანამშრომლობა	0.492		გრანტი

3. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია შემდეგი ქმედებების დასრულება: (ა) საპროექტო აქტივების შექმნა 2009 წლის 30 ივნისისთვის, (ბ) დეპოს განახლება სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი წლის ვადაში და (გ) ტექნიკური თანამშრომლობა 2009 წლის 30 ნოემბრისთვის.

ქმედება	დასრულება
საშუალო ზომის ავტობუსების და მათი სათადარიგო ნაწილების შექმნა	2009 წლის 30 ივნისისათვის
ამორტიზაციის მანქანა-დანადგარების შექმნა	2009 წლის 30 ივნისისათვის
დეპოს განახლება	სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 წლის განმავლობაში
დაწვევების პრინციპით პარტნიორობა (დახმარება საპროექტო ორგანიზაციის კორპორატიული განვითარების სფეროში)	სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 წლის ვადაში
ტრანსპორტის რესტრუქტურისაცია (საპროექტო ორგანიზაციის მხარდაჭერა მარეგულირებელი სისტემით)	სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 თვის ვადაში

 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სააქტივაციო/REGISTRATION № 3323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტკნა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

საპროექტო ორგანიზაციის  
მხარდაჭერა გარემოსდაცვითი  
სამოქმედო გეგმის  
განხორციელების სფეროში

სასესიო ხელშეკრულების  
ხელმოწერიდან 6 თვის ვადაში

 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სააპოსტალი/REGISTRATION № 5323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამტკიცა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia

დანართი 2. კატეგორიები და თანხების ათვისება

1. წინამდებარე დანართში წარმოდგენილ ცხრილში მოყვანილია კატეგორიები, მათი შესატყვისი სესხის განაწილება და დასაფინანსებელი ხარჯების პროცენტები.
2. ზემოთმოყვანილი პუნქტის 1 მიუხედავად სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერამდე გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად სესხი არ უნდა იქნეს ათვისებული.

კატეგორია	სესხის განაწილება სესხის ვალუტაში	დასაფინანსებელი ხარჯების (ბადასახადების ბარეში) პროცენტები
საქონელი, სამუშაოები და მომსახურება	2,475,000	საკონტრაქტო ღირებულების [100]% საერთაშორისო ტენდერის გზით შესწიების შემთხვევაში
ადმინისტრირების გადასახადი	25,000	[100%]
ჯამი	2,500,000	

 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების  
თარგმნის ბიუროს  
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 3323-14  
თარიღი/DATE 18.09.08  
დაამოწმა/CERTIFIED BY   
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia